პროლეტარიანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 15 იანვარი, 1944 წ. № 11 (6905). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ როკოსოვსკის

ბელორუსიის ფრონტის ჯარებმა მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად, დღეს, 14 იანვარს, იერიშით დაიკავეს ბელორუსიის საოლქო ცენტრი ქალაქი მოზირი და დიდი რკინიგზის კვანძი და ქალაქი კალინკოვიჩი — გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები პოლესიეს მიმართულებით.

ქალაქების მოზირისა და კალინკოვიჩის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ბატოვის, გენერალ-ლეიტენანტ გელოვის, გენერალ-ლეიტენანტ კრივოშეინის, გენერალ-მაიორ კონსტანტინოვის, გენერალ-მაიორ ი. ი. ივანოვის, გენერალ-მაიორ ალექსეევის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ კازაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბესკინის, არტილერიის გენერალ-მაიორ იგნატოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ეგორროვის არტილერისტებმა, საბჭოთა ჯარების გენერალ-მაიორ პანოვის ტანკისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რუდენკოს მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქების მოზირისა და კალინკოვიჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „მოზირისა“ და „კალინკოვიჩის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 14 იანვარს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქები მოზირი და კალინკოვიჩი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქების მოზირისა და კალინკოვიჩის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 14 იანვარი.

უკრაინის სს რესპუბლიკის იმ პარტიზანების დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალ. ობრუჩის აღებისას

ქალაქ ობრუჩის აღებისას მტრის ზურგში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით — ი. ა. არტიუხოვი, ვ. ფ. ბრილი, ვ. პ. მიშინი, ფ. ი. ულიანოვი, ვ. ი ხრაპკო და სხვები, სულ 17 კაცი;

სუვოროვის II ხარისხის ორდენით — ა. ნ. საბუროვი;

ბოგდან ხმელნიცკის II ხარისხის ორდენით — ი. ი. ბოროდაჩევი;

ბოგდან ხმელნიცკის III ხარისხის ორდენით — 10 კაცი;

საბრძოლო ომის პირველი ხარისხის ორდენით — 17 კაცი;

სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით — 33 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით—45 კაცი;

მედლით „მამაცობისათვის“ — 22 კაცი;

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 22 კაცი. (საკდესი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოლოგიის საქმეთა კომიტეტის მუშაკების დაჯილდოება

მინერალური სტრატეგიული ნედლეულის ზარაფით მრეწველობის უზრუნველყოფის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოლოგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ვ. გორიუნოვი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. გ. კასინი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული გეოლოგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. მლინშევი, ლენინგრადის გეოლოგიური სამმართველოს უფროსი მ. ფ. პო�dეევი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი კ. ვ. რადუგინი, ცენტრალური გეოლოგიური მუზეუმის დირექტორი აკადემიკოსი ბ. ი. სტეპანოვი, სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი გეოლოგი აკადემიკოსი ს. ს. სმირნოვი, სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი გეოლოგიური ინსტიტუტის უფროსი გეოლოგი რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ნ. ნ. იაკოვლევი;

შრომის წითელი დროშის ორდენით — 41 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით—27 კაცი;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 78 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 133 კაცი,

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 98 კაცი. (საკდესი).

წითელი არმიის ოფიცერთა, სერჟანტთა და წითელარმიელთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. ბოდაველი შალვა ნიკოლოზის-ძე — უფროსი სერჟანტი
2. გეწაძე დავით ოქროპირის-ძე — ლეიტენანტი
3. გურაბანიძე პოლიკარპე სამსონის-ძე — წითელარმიელი
4. გოგინაშვილი ვასილ ეფრემის-ძე — სერჟანტი
5. ჯოხაძე გრიგოლ გრიგოლის-ძე — კაპიტანი
6. ზურაბეიშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე — წითელარმიელი
7. ოთბაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე — წითელარმიელი
8. ირემაძე ვიქტორ გიორგის-ძე — ზემდეგი
9. კაშაევი პავლე კუზმას-ძე — ზემდეგი
10. კობალიანი ინდიკო რაჟდენის-ძე — წითელარმიელი
11. კიბაბიძე სეით კვირიას-ძე — წითელარმიელი
12. კობლიანიძე შალვა ზაქარიას-ძე — წითელარმიელი
13. მიქაძე იონა სერაფიონის-ძე — ლეიტენანტი
14. მუშკუდიანი ვახტანგ პავლეს-ძე — ლეიტენანტი
15. ოხოტნიკოვი სავლე ივანეს-ძე — წითელარმიელი
16. პაპავა ვალერიან ნიკიფორეს-ძე — სერჟანტი
17. რამიშვილი ზინობი კალისტრატეს-ძე — ლეიტენანტი
18. რუხაძე ბაგრატ ოქროპირის-ძე — წითელარმიელი
19. სალბაშვილი ლევან ქიტესას-ძე — წითელარმიელი
20. ტატარენკო ალექსანდრე სიმონის-ძე — სერჟანტი
21. ტრეტიაკოვი ათანასე სტეფანეს-ძე — ლეიტენანტი
22. ხანიაშვილი ვახტანგ თათოს-ძე — წითელარმიელი
23. წიკლაური იოსებ მიხეილის-ძე — წითელარმიელი
24. ცომაია პორფილე ივანეს-ძე — წითელარმიელი
25. შელუშინინი იაკობ სიღორის-ძე — სერჟანტი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. ხალთუბეველი აბრამ ილარიონის-ძე — წითელარმიელი
2. ხარალიძე მიხეილ ვასილის-ძე — წითელარმიელი
3. ფიალა ოლეგ კარლოს-ასული — ადმინისტრაციული სამსახურის ლეიტენანტი
4. ხარჩილაძე გიორგი ალექსის-ძე — უფროსი სერჟანტი
5. წიბახაშვილი ისაკ იოსების-ძე — წითელარმიელი
6. ცხვირავაშვილი გედეონ ერასტის-ძე — წითელარმიელი
7. შპაკი იაკობ მირონის-ძე — ადმინისტრ. სამსახურის ლეიტენანტი
8. აფრიამაშვილი სიმონ ივანეს-ძე — წითელარმიელი
9. ვაშაკიძე სიმონ ილარიონის-ძე — უფროსი სერჟანტი
10. დარჩია აფრასიონ ლევანის-ძე—წითელარმიელი
11. კიკვაძე ლავრენტი რაჟდენის-ძე — სანიტენდანტო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი
12. ყურაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე — წითელარმიელი
13. მენაბდიშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე — წითელარმიელი
14. მარშავი ზაქარია დიმიტრის-ძე — წითელარმიელი
15. პონომარევი მიხეილ ივანეს-ძე — წითელარმიელი
16. ფაქიალაძე სერაფიონ სარდიონის-ძე — უფროსი სერჟანტი
17. ჩიჩუა აპოლონ არჩილის-ძე — წითელარმიელი
18. ჩამანიძე გრიგოლ პოლიკარპეს-ძე — სარეტენდანტო სამსახურის ლეიტენანტი
19. აბრამენკო ვერა კუზმას-ასული — სერჟანტი
20. ბიგანოვი აბდულ გენოს-ძე — წითელარმიელი
21. გიგინეიშვილი ვასილ გრიგოლის-ძე — მეორე რანგის სამხედრო ტექნიკოსი
22. ბოგატიშვილი გიორგი სარინოს-ძე—წითელარმიელი
23. კოძიევი ექვთიმე ბესარიონის-ძე — წითელარმიელი
24. ლომიძე ვახტანგ მიხეილის-ძე—წითელარმიელი
25. პავლიაშვილი ივანე თედოს-ძე — წითელარმიელი
26. პოპოვი ნიკოლოზ ანტონის-ძე — უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი
27. ხვანიძე გაიოზ შალვას-ძე — უმცროსი სერჟანტი.

პარტიზანი დ. ი. ბაქრაძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში გამოჩენილობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია უკრაინის სსრ პარტიზანთა ჯგუფი. მათ შორის ლენინის ორდენით დაჯილდოებულია პარტიზანი დავით ილიას-ძე ბაქრაძე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
14 იანვრის ოპერაციული ცნობა

ბელორუსიის ფრონტის ჯარებმა მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად დღეს, 14 იანვარს, დაიკავეს ბელორუსიის სს რესპუბლიკის საოლქო ცენტრი — ქალაქი მოზირი, ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კალინკოვიჩი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბოგრგოვიჩი, რუდნია ბოგრგოვიჩსკაია, ბოგბრი, კოზინკი, ბორისკოვიჩი, ზაგორინი, კოსტიუკოვიჩი, ულიანოვიჩი, სკრიბალოვო, ბესედკი და რკინიგზის სადგურები კლინსკი, კაჩური, კოზინკი.

სარნის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი სტეპანი, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ნოვოგრად-ვოლინსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ვინიცის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშების წარმატებით მოგერიებას და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანალმტყორცნო სროლაა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

13 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 96 ტანკი. ხაჯაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 37 თვითმფრინავი.

* * *

ბელორუსიის ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. საბჭოთა ტანკისტებმა და ქვეითებმა სწრაფად წაიწიეს წინ ქალ. კალინკოვიჩის ჩრდილო-დასავლეთით და გაანადგურეს მოწინააღმდეგის დიდი ძალები. დასახლებულ პუნქტ გორბოვიჩის ახლოს მიმდინარ ბრძოლაში ჩვენი ტანკების და თვითმავალი ქვემეხების ცეცხლით დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 27 ტანკი, მოსპობილია მოწინააღმდეგის 40-ზე მეტი ქვემეხი და ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ამავე რაიონში ჯერმანელებს წაგართვეთ 11 ვარგისი ტანკი, 20 ქვემეხი, 10 ჯავშანტრანსპორტიორი და სხვა დაგლ. საბჭოთა ქვეითი ნაწილები, რომლებიც აღმოსავლეთიდან უტევდნენ, მიადგნენ მდინარე პრიპიატის ხიდს და უკანდასახევი გზა გადაუჭრეს მოწინააღმდეგს. ჩვენმა მებრძოლებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა, შეიჭრნენ ქალაქ მოზირის აღმოსავლეთ ნაწილში და გაანაღეს ბრძოლები ქუჩებში. ამასობაში საბჭოთა ავალერისტები სამხრეთიდან შეიჭრნენ ქალაქში. კავალერიის სხვა ნაწილმა გადალახა მდინარე პრიპიატი და გადასჭრა რკინიგზა კალინკოვიჩის დასავლეთით. მტერს ყოველ მხრიდან დავარტყეთ და მისი თავდაცვა დეზორგანიზებულ იქნა. დღეს საბჭოთა ჯარებმა გადამწყვეტად დაარტყეს მოწინააღმდეგს და დაიკავეს ბელორუსიის საოლქო ცენტრი — ქალაქი მოზირი, ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კალინკოვიჩი. მოწინააღმდეგს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. გერმანელებმა სასწრაფოდ უკანდახევისას დასტოვეს დიდძალი ქვემეხი, ავტომანქანები, საწყობები საომარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად. წამოყვანილია ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

სარნის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის მებრძოლნი გადავდნენ მდინარე გორინწე და გააფთრებული ბრძოლის შედეგად დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრი სტეპანი. დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. როვნოს პარტიზანები აქტიურად უწყობდნენ ხელს საბჭოთა ნაწილებს და განადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონა, რომელიც გზატკეცილით მიდიოდა. მარტო რაიონულ ცენტრ სტეპანისათვის მომხდარ ბრძოლაში მოსპობილია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის დიდი აღალი სამხედრო ქონებიანად და სხვა დაგლ.

* * *

ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და წინ მიიწევდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე კონტრიერიში და დაიკავეს ხელსაყრელი პოზიციები. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 400-მდე გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 6 ტანკი და 5 თვითმავალი ქვემეხი. სხვა რაიონში ჩვენი მეავტომატეები შეიჭრნენ დასახლებულ პუნქტში, დაიჭრეს ერთი ასეული ჰიტლერელი და ხელთ იგდეს გერმანელთა 2 ტანკი. მოწინააღმდეგის მოსული ნაწილების ცდები, რომ დაებრუნებინათ ეს დასახლებული პუნქტი, უნაყოფო აღმოჩნდა.

* * *

ვინიცის აღმოსავლეთით გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მოწინააღმდეგემ შეაგსო თავისი შებერტყული ნაწილები, თავი მოუყარა ტანკების დიდ ძალებს და დღის განმავლობაში არაერთხელ გადმოვიდა კონტრიერიშებზე. ერთ უბანზე გერმანელებმა ბრძოლაში ჩააგეს 100-ზე მეტი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საბჭოთა არტილერისტებმა და ჯავშანსაწინააღმდეგო ქვემეხებმა დაიზიანეს და მოსპეს მოწინააღმდეგის 20 ტანკი და 6 თვითმავალი ქვემეხი. გერმანელთა ქვეითს ჯარს გამანადგურებელი სანალმტყორცნო და სატყვიამფრქვევო ცეცხლით შეეხვდით, და მან უწესრიგოდ დაიხია უკან. სხვა უბანზე ჩვენმა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიშები, გაელიტეს 2 ათასამდე ჰიტლერელი, დასწვეს და დაზიანეს 35 ტანკი და 29 ჯავშნიანი მანქანა, მოსპეს 9 ჯავშანტრანსპორტიორი და 120 ავტომანქანა. ხელთ ვიგდეთ დაგლ და ტყვეები.

* * *

შავ ზღვაში ჩაძირულია მოწინააღმდეგის 2 კარჭაპი და 1 ტრანსპორტი 1.500 ტონა წყალწყვისა.

* * *

გასტელოს სახელობის პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელებს, რომლებიც სიმაგრეებს აგებდნენ ბორანოვიჩის ოლქში. პარტიზანებმა გაელიტეს მტრის 40 ჯარისკაცი და აიფეთქეს ორი ავტომანქანა. ამავე რაზმის მეაღმეთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადაადგო მოწინააღმდეგის სარკინიგზო ეშელონი ჯარებიანად. მარცხის შედეგად დაიღუპა და დაიჭრა ბევრი ჰიტლერელი. ბელოსტოკის ოლქში მოქმედი ხმელნიცკის სახელობის რაზმის პარტიზანებმა ცეცხლი წაუკიდეს გერმანელი მეამბულის კარ-მიდამოს. ცეცხლით მოსპობილია საწყობები მარცვლეულიანად.

* * *

ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონში ტყვედ დაგვნებდა გერმანიის 147-ე მცველი დივიზიის 270 ჯარისკაცი. დივიზიის შტაბის ტელეფონისტმა, ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცმა არტურ ფრეზემ განაცხადა: „რუსების სწრაფმა შეტევამ პანიკა გამოიწვია ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის. ზურგისფროსი, კაპიტანი ჰაიტლე ჯარისკაცებთან აღშფოთებით ამბობდა: „რისთვის გამოგვგზავნეს აქ. დივიზია ბრძოლის უნარს მოკლებულია და ვერ შესძლებს პოზიციების შენარჩუნებას. რუსები ჩვენ ყველას მოგვსპობენო“. როცა საბჭოთა ტანკები ჩვენს განლაგებაში შემოჭრნენ, ჩვენ ვიწყეთ უკანდახევა სამხრეთის მიმართულებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ რუს მეავტომატეებს უკვე გადაეჭრათ უკანდასახევი გზა. ოფიცრებმა ჯარისკაცები ბედისანაბარა მიატოვეს და გაიქნენ. მე თვითონ ვნახე, თუ როგორ ჩამოიგლიჯა სამხრეები და ორდენები დივიზიის მეთაურმა—გენერალ-ლეიტენანტმა მატერშტოკმა. ამის შემდეგ ის მიიმალა და მერე აღარ გვინახავს. ჩვენ, ოფიცრების მიერ მიტოვებულებმა, მთელ ღამეს ვიხეტიალეთ ტყეში და არაჩვეულებრივ ცივა. რაიმე უნდა გვქონა, გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს მდგომარეობაში ყველაზე უკეთესი და ყველაზე გონივრული იყო ტყვედ დავნებებულიყავით. მთელი იარაღი და საომარი მასალა ჩვენ რუს ოფიცერს გადავეცით“.

ქართველი ხალხის შვილები

მოქმედი არმია, (საკდესის სპეც. კორ.). ნ ნაწილში რუსებთან და უკრაინელებთან ერთად მსახურობენ ქართველი ხალხის შვილები.

— ჩვენ, ქართველებს,—ამბობენ ისინი თავიანთი წინამებრძოლი, — ჩვენულებად არა გვაქვს, მტერს რომ დავინახავთ, ზურგი ვუჩვენოთ მას, თუნდაც სიკვდილი მოგველოდეს...

ამას წინათ რიგითმა მებრძოლმა სვანაძემ საბრძოლო დავალება მიიღო, წინა კიდეზე გავიდა და იქ დღის განმავლობაში 5 ჰიტლერელი მოსპო. ყოფილმა კოლმეურნემ, ახლა უფროსმა სერჟანტმა ბ. მახარაძემ 53 ჰიტლერელი გაელიტა. ჩინებულად მოქმედებენ საფარში სნაიპერები ზ. ბეჟანიშვილი, ვ. სანაძე. ამ მეომართა საბრძოლო ანგარიშზე უკვე ჩაწერილია ორმოცზე მეტი გაელიტილი ფაშისტი.

— ეს მხოლოდ დასაწყისია,—სწერენ სნაიპერები თავიანთ თანამემამულეებს.—მშობლიური სტალინის ბრძანებით ალფრთოვანებულნი ჩვენ დაუღალავად სრულყოფთ ჩვენს საბრძოლო გაწვრთნილობას, ვამრავლებთ ჩვენს წარმატებებს.

წითელარმიული გაზეთების ფურცლებზე

ცეცხლს უშენენ საბჭოთა კავშირის გმირები. „ვეფხვები“ ორ კოლონად მოდიოდნენ. გერმანელებმა ვიწრო უბანს ოცდაათი ტანკი და ბევრი ქვეითი ჯარი მოაყარეს.

საბჭოთა არტილერისტები მტკიცედ შეხვდნენ მტრის მოწოლას. საბჭოთა კავშირის გმირის გვარდიის უფროს სერჟანტ ვასილ პეტრიუკის ქვემეხის გუნდმა მტრის ტანკები 800 მეტრზე მოუშვა და ცეცხლი წაუკიდა ორ მძიმე მანქანას.

მაგრამ აი გუნდის საცეცხლე პოზიციებზე მტრის ყუმბარა გასკდა. დაიღუპა მეშიზნე რუსაკოვიჩი, დაიჭრნენ მებრძოლები აკაზოროი და ტიხომიროვი. ყუმბარის ნამსხვრევით ქვემეხის მეთაურიც დაიჭრა. ჭრილობის მიღებადაგდ, საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ პეტრიუკი პანორამასთან დგება, და ქვემეხი კვლავ ურტყამს მტერს. ვასილ პეტრიუკმა ზედიზედ დაახიანა გერმანელთა კიდევ სამი ტანკი.

სახელოვან არტილერისტს მიეშველა ქვემეხის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ ბუჯიძე. მისმა გუნდმა დააზიანა გერმანელთა ორი ტანკი, ერთი საწვავი და ერთი თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი“.

მოწინააღმდეგემ, ათზე მეტი ტანკი, ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი რომ დაჰკარგა, უკან დაიხია. („სოვეტსკი პატრიოტ“).

ამხ. ვ. ა. ახობაძის დაჯილდოება

ქარხნების მშენებლობისა და გაფართოების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 51 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მუშაკთა ჯგუფი. მათ შორის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია შეიარაღების სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოს ენერგოსექტორის უფროსი ვიქტორ ალექსანდრეს-ძე ახობაძე.

მზადება ლენინის დღეებისათვის

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში

უკვე შეუდგა მზადებას ლენინის დღეებისათვის ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი. მთელი რიგი დარბაზები თემატიკის მიხედვით შევსებულია ახალი მასალებითა და დოკუმენტებით ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ჩვენი პარტიის გმირული წარსულის, ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. 1943 წელს კიდევ უფრო გაიზარდა ექსკურსიების რიცხვი როგორც მუზეუმში, ისე ავლაბრის სტამბაში, გორში — დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახლში, ქუთაისში — წულუკიძის მუზეუმში, საგრძნობლად იმატა ორგანიზებული ექსკურსიების რიცხვმა. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა, მოსწავლე ახალგაზრდობა და საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი ორისტემატურად აწყობენ თემატურ და ციკლურ ექსკურსიებს. 1943 წელს ვ. ი. ლენინის მუზეუმი და მისი განყოფილებები 153 ათასმა კაცმა დაათვალიერა.

ვ. ი. ლენინის დღეებთან დაკავშირებით უკვე სწარმოებს ექსკურსიების წინასწარი ჩაწერა. მუზეუმის ფილიალის მეცნიერი მუშაკები ლენინის დღეებში გააკეთებენ ადგილებზე — საწარმო-დაწესებულებებში მოხსენებას—„20 წელი ულენინოდ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“. ლენინის დღეებთან დაკავშირებით მუზეუმთან გაიხსნება ახალი განყოფილება, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომისდმი. ამ გამოფენაზე ფართოდ იქნება ასახული საბჭოთა ხალხის სამამულო ომი, ქართველი ხალხი დიდ სამამულო ომში და სხვ. ამასთან ერთად ლენინის მუზეუმის ფილიალის დარბაზები უკვე შევსებულია ახალი მასალებით, ციტატებით ვ. ი. ლენინისა და სტალინის შრომებიდან სამშობლოს დაცვის შესახებ, გერმანული იმპერიალიზმის ყაჩაღური ბუნების, ჩვენი წითელი არმიის წარმოშობისა და სახელოვანი ბრძოლის შესახებ და სხვა საკითხებზე.

საკვანძო რეკონსტრუირებულია სამგლოვიარო დარბაზი ახალი საინტერესო მასალების საფუძველზე. ავრეთვე განყოფილება „ლენინი და სტალინი ხალხურ შემოქმედებაში“ გამდიდრებულია ახალი ექსპონატებით. ახლა, სამამულო ომის დღეებში, როცა ჩვენი ხალხი მშობლიურ უკრაინას ათავისუფლებს გერმანელი დამპყრობლებისაგან, კიდევ უფრო მახლობლად გამოიყურება უკრაინელი ქალების კოლექტიური ნამუშევარი დიდ ნოხზე „სტალინი და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა“. გემოვნებით შესრულებული ფერებით ამოქარგული ეს საუბარი უკრაინელმა ხალხმა საქართველოს მშრომელებს გამოუგზავნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის გამო. დარბაზში აგრეთვე მდიდარი მასალებია თემაზე — „ლენინი და სტალინი ხალხურ შემოქმედებაში“, ხეზე ამოკვეთილი პორტრეტები, მინიატურული ნამუშევრები სხვადასხვა ნივთებზე, ლენინისა და სტალინის პორტრეტები, შესრულებული ბავშვების მიერ, ლექსები და სიმღერები ვ. ი. ლენინსა და სტალინზე.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

1944 წლის 14 იანვარს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რკინიგზის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მთელი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. სხდომას ესწრებიან ამიერ-კავკასიის რკინიგზა სტახანოველები და ყველა განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკები.

კრების პრეზიდიუმში არიან: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. სტურუა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე ტრანსპორტის დარგში ამხ. მ. ჩუბინიძე, აკადემიკოსი კ. ზავრიევი, წევის მე-3 რანგის გენერალ-დირექტორი დ. ჭიჭინაძე, სოციალისტური შრომის გმირები—მემანქანეები შ. კოხრეიძე, ა. წიკლაური, ნ. გელაძე, ა. ხაჩატრიანი, ფ. აგაევი და სხვები.

სამპატიო პრეზიდიუმში მთელი დარბაზის მქუხარე ტაშით იჩრეკენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

გზის 1943 წლის მუშაობის შედეგებისა და 1944 წლის ამოცანების შესახებ მოხსენებით გაჰვიდა ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსი—მოძრაობის 1-ლი რანგის გენერალ-დირექტორი ამხ. გ. ს. კიკნაძე.

— ამხ. კიკნაძეიმ,—ამბობს ის,—მაღალი შეფასება მისცა ჩვენი გზის მუშაობას. სამამულო ომის პირიქით, გზამ წარმატებით გაართვა თავი დიდ და პასუხსაგებ ამოცანას —უზრუნველყო ტვირთზიდვის მხრივ ფრონტისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებანი, მიაღწია ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესა საექსპლუატაციო მუშაობის ხარისხი. ექვსი თვის განმავლობაში გზა ბარჩენებს თავდაცვის ... გარდამავალ წოდ...

მიღწევებთან ერთად ამხ. კიკნაძემ აღნიშნა გზის ცალკეული რგოლების მუშაობის ნაკლოვანებანი. ასე, მაგალითად, საშუალო სადღეღამისო გარბენი ჯერ კიდევ ვერ აღწევს ნორმას. მნიშვნელოვნად გადიდებულია ორთქმლმავალთა მოცდენა აწევითის და საშუალო რემონტზე, განსაკუთრებით სამტრედიის, თბილისის, ლენინაკანის, ბალაჯარის დეპოებში. გადიდებულია ავადმყოფი ვაგონების საერთო ნაშთი. დაზიანებული ვაგონების რემონტი არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი.

დასასრულ, მომხსენებელმა სახალხო კომისრის ბრძანების მიხედვით დასახა კონკრეტული ამოცანები, რომლებიც დგას ამიერ-კავკასიის რკინიგზის ყველა მუშაკის წინაშე.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: გზის ბაჭის განყოფილების უფროსმა ამხ. ბაირამოვმა, ლენინაკანის დეპოს მემანქანემ ამხ. ალბაჯიანმა, სალიანდაგო სამსახურის უფროსმა ამხ. ვაშაკიძემ, სავაგონო უბნის უფროსმა ამხ. ბაბაევმა, ხაშურის სადგურის საელექტრომავლო დეპოს უფროსმა ამხ. კაკაბაძემ, გზის ოსტატმა ამხ. მშვიდობაძემ, სამტრედიის განყოფილების უფროსმა ამხ. კვიცარიძემ და ახიჭაბულის სალიანდაგო დისტანციის უფროსმა ამხ სადიკოვმა.

კრების მქუხარე ტაშით გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები საბჭოთა კავშირის დიდ მარშალს ამხანაგ სტალინს, აგრეთვე ამხანაგებს კაგანოვიჩსა და ბერიას.

აქტივის შემდეგი სხდომა შესდგება 15 იანვარს. (საკდესი).

არგენტინის მეთვალთვალე ვიშინოვი

მოქმედი არმია, 13 იანვარი (საკდესის სპეც. კორ.). ღამით მზვერავები უხმაოდ ამოვიდნენ სანგრიდან და გერმანელთა წინა კიდისაკენ გახოხდნენ. ქვეითთა შ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულნი საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ — ს. უსენაშვილი—დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, დ. რაჟიშვილი—დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ე. გოგბრონიძე — დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მ. ჩხაიძე — დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ქ. ლავასასი—დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ლ. ხუციძე — დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

საქართველოს კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები მთავრობის მაღალ ჯილდოს უპასუხებენ მძლავრი შრომითი აღმავლობით

მაღალი ჯილდო გვაპალებს

ფოთელწყარო („კომუნისტის“ საკ. კორ.). ფოთელწყაროს რაიონსა ბშრომელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოებამ საკავშირო ორდენებითა და მედლებით. სოფ. მირზაანის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივანე ფიროსმანაშვილმა, რომელიც ლენინის ორდენით არის დაჯილდოებული, განაცხადა: ჯილდოს მიღებამ ჩემში უსაზღვრო საწარმოო ენტუზიაზმი გამოიწვია — ამ მაღალი ჯილდოს პასუხად პირობას ვიძლევი ვიმუშაო კიდევ მეტი ენერგიით ფრონტის დასახმარებლად. გასული წელი წარმატებით დავამთავრეთ, მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 12 ცენტნერი ავიღეთ, მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ, მზად ვართ პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის. სახელმწიფოს 1944 წლის ანგარიშში ავანსად ჩავაბარეთ 52 ტონა მარცვლეული, 5 ტონა ხორცი, სახელმწიფოს მივყიდეთ 150 ტონა მარცვლეული, აქედან 2 ტონა პირადად ჩემი მარაგიდან შრომაღიზე ავანსად გაცემული 7 კილოგრამი მარცვლეული; კოლმეურნეობა მზად არია საგაზაფხულო თესვისათვის. შეკეთებულია 9 გუთანი, გაშენდილია თესლი, მუშა-საქონელი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

ფოთელწყაროს მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. ბიწაძემ, რომელიც დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, განაცხადა: მტს-მა გასული წლის საწარმოო გეგმა 113 პროცენტით შეასრულა, შესრულებულია სათადარიგო ნაწილების დამზადებისა და ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა. მთავრობის ჯილდოს პასუხად ვიღებთ შემდეგ ვალდებულებებს: იანვარში გეგმის გადამეტებით შევაკეთოთ 2 ტრაქტორი, ტრაქტორების და მისაბმელი იარაღების რემონტი დავამთავროთ ვადაზე 10 დღით ადრე, ხოლო კომბაინების რემონტი 20 დღით ადრე, შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 15 პროცენტით, თვითღირებულება შევამციროთ 10 პროცენტით, მომზადებული შევხვდეთ გაგაზაფხულო თესვას.

მთავრობის ჯილდო, — ამბობს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებული რაიმოწვანის გამგე ამხ. ი. მანგოშვილი, — გვავალებს ვიმუშაოთ უკეთესად. გასული წელი წარმატებით დავამთავრეთ, ახლა მზად ვართ პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის, ენერგიულად ვემზადებით გაგაზაფხულო თესვისათვის, შეკეთებულია 260 გუთანი, მომზადებულია თესლი, მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. მთავრობის ჯილდომ, — განაცხადა ჯაფარიძის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ნ. ყორნაშვილმა, რომელიც დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, — ჩემში უსაზღვრო სიხარული გამოიწვია, ამ ჯილდოს პასუხად პირობას ვიძლევი ვიმუშაო უკეთესად ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისათვის.

შ. მოლაშვილი

ვ. ყუფუნიას ახალი ვალდებულება

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური—ჩაის ფოთლის წარჩინებული მკრეფავი ამხ. ვენერა ყუფუნია დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. ამხ. ყუფუნია ამ ცნობას უდიდესი სიხარულით შეხვდა.

მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით, ვ. ყუფუნიამ იკისრა მიმდინარე წელს მთელს სეზონში პირადად მოჭრიფოს 9.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ყუფუნიას რგოლის წევრებმა, რიონის ხელმძღვანელის დაჯილდოებასთან დაკავშირებით, იკისრეს კიდევ უფრო თავდადებულად იმუშაონ და მიმდინარე წელს 1.8 ჰექტარი ჩაის პლანტაციაში მოჭიფონ 25.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან პირველი ხარისხის იქნება 95 პროცენტი.

ვ. ყუფუნიას რგოლი ენერგიულად შეუდგა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ბერულავა

კიდევ უფრო გავზრდით შრომის ნაყოფიერებას

ლანჩხუთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 12 იანვარს ლანჩხუთში შესდგა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა რაიონული შეკრება. შეკრებამ აღფრთოვანებით მოისმინა: ლანჩხუთის რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნ. მაწყავას ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკის კოლმეურნეების, კოლმეურნეკალების და სოფლის მეურნეობის მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების გამო. შეკრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქის უსნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პატარაიამ, მტს-ის დირექტორმა ამხ. ნ. ლაღიძემ, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. გეგიაძემ, განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. ჩხაიძემ. მათ განაცხადეს, რომ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით გვავალებს კიდევ უფრო მეტი დახმარება გავუწიოთ ფრონტს და ბოლშევიკურად მოვემზადოთ 1944 წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ლ. ლოლაძე

ხაშურელ ჭრაქჭორისჭთა ვალდებულებანი

ხაშური (საქდისი) დიდი სიხარულით გაიგო ხაშურის მანქანა-ტრაქტორთა საგზაურის კოლექტივმა, რომ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი კონსტანტინე მოსიაშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

მოსიაშვილის ბრიგადამ გასულ წელს გეგმის გადამეტებით მოხნა 516 ჰექტარი, დაბოგა 2.110 კილოგრამი საწვავი.

მაღალი ჯილდოს პასუხად ბრიგადირი მოსიაშვილი მთელი ბრიგადის სახელით კისრულობს ვალდებულებას 150 პროცენტით შეასრულოს მომდინარე წლის სატრაქტორო საჭუშაოთა გეგმა, 20 იანვრისთვის დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი.

ხაშურის მტს-ის კოლექტივმა თავისი წარჩინებული ბრიგადირის დაჯილდოების პასუხად იკისრა ვალდებულება ვადაზე 20 დღით ადრე დაამთავროს ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი, 10 პროცენტის გადამეტებით შეასრულოს სათადარიგო ნაწილთა რემონტისა და აღდგენის გეგმა.

დიდი სანარმოო აღმავლობა

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის მშრომელებში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების დაჯილდოების შესახებ. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში შესდგა მიტინგები. სოფ. გურიანთის კოლმეურნეობაში მიტინგის მონაწილეებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვააცნო საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ჰ. კვაჭანტირაძემ. მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულმა კოლმეურნემ ანატო ქათამიძემ ვალდებულება იკისრა 1944 წელს მოჭრიფოს 9.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულმა ამხ. ა. მალაზონიამ იკისრა კიდევ უფრო გააძლიროს ფრონტისადმი დახმარება. სოფ. მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულმა ტ. მიქატაძემ მთელი კოლმეურნეობის სახელით განაცხადა: წელს 10 პროცენტით გავადიდებთ ჩაის, ციტრუსების, ერთწლიანი კულტურების მოსავალს. სოფ. ნატანების, შრომის, კონკკათის კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო ბრიგადები და რგოლები მთავრობის მაღალ ჯილდოს სპასუხოდ მინდვრის სამუშაოების დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ლ. ლოლაძე

ახალი წარმატებებისაკენ

დიდმა სამამულო ომმა ფრიად პასუხსაგები ამოცანები დააყენა საქართველოს საბჭოთა ზოოტექნიკურ ინსტიტუტის წინაშე. ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალი, მეცნიერი მუშაკები და მთელი კოლექტივი მთელ ოავიანთ მუშაობას იქითკენ წარმართავენ, რომ ქვეყანას მისცენ მაღალკვალიფიციური ზოოვეტერინარული კადრები, რომელნიც ესოდენ საჭირონი არიან ჩვენი მზარდი სოციალისტური მეცხოველეობისათვის.

საქართველოს ზოოვეტერინარიის ინსტიტუტმა პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით სერიოზული მუშაობა გასწია და ეწევა მაღალკვალიფიციური კადრების აღსაზრდელად. ინსტიტუტმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულ წიგნს ზოოტექნიკასა და ზოოვეტერინარიაში, გამოსცა 40 სახელმძღვანელო, ბროშურა კიდევ 12. შეასრულა 120-ზე მეტი საველიერო-კვლევითი სამუშაო. უკვე გამოსცა სამეცნიერო შრომათა ოთხი ტომი, იბეჭდება მეხუთე. სამამულო ომის დღეებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაეკისრა ფრონტების მოთხოვნებს, ფრონტის რამდენიმე დაკვეთა ინსტიტუტმა გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შეასრულა.

ზოოვეტერინარიტუტმა საქართველოს სოციალისტურ მეცხოველეობას მისცა 1.470 სპეციალისტი. მათ შორის 816 ზოოტექნიკოსი და 654 ვეტექიმი. დიდი სამამულო ომის წლებში ინსტიტუტმა უზრუნველყო 508 უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება და გამოშვება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მე დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით. ამ საპატიო ჯილდომ დიდად აღმაფრთოვანა. ამის საპასუხოდ არ დავზოგავთ ძალასა და ენერგიას ინსტიტუტის მუშაობის შემდგომი ვაუმჯობესებისათვის.

ინსტიტუტის მთელ კოლექტივს ღრმად აქვს შეგნებული მის წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანები და წარმატებით შეასრულებს მათ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მზარდი დახმარება გავუწიოთ გმირ წითელ არმიას კაციჭამია ჰიტლერელთა ურდოების სრული განადგურების დაჩქარებისათვის.

ნ. ცოფაია

საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატი.

მაღალი ჯილდოს პასუხად

საბჭოთა მთავრობამ ჩემს შრომას მაღალი შეფასება მისცა. შრომის წითელი დროშის ორდენით დამაჯილდოვა. ეს ჯილდო არა მარტო პირადად ჩემი ჯილდოა, იგი ამავე დროს ჩვენი კოლექტივის წევრთა თავდადებული მუშაობის შეფასებაა.

ეს მაღალი ჯილდო მავალებს კიდევ მეტი თავდადებით, ძალების დაუზოგავად ვიშრომო საკოლმეურნეო დოვლათისა და ბარაქის გასაზრავლებლად, დაუცხრომლად ვზარდო ჩვენი შემოსავალი.

გასული წელი ჩვენმა კოლმეურნეობამ თვალსაჩინო წარმატებენი დაამთავრა. მოსავლის განუწყვეტელი ზრდისათვის თავდადებული შრომის შედეგად ჰექტარზე საშუალოდ 13 ცენტნერი მარცვლეული მივიღეთ. პირნათლად მოვიხადეთ სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება, ამავე დროს შრომადღეზე 9 კილოგრამამდე მარტო მარცვლეული გავეცით, ამასთანავე ამ წლის აწყარიშში სახელმწიფოს ჩავაბარეთ 770 კილოგრამი ხორცი, 1.500 ცალი კვერცხი, ერბო, მატყლი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. გადაჭარბებით შევასრულეთ საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმები: 190 ჰექტარის ნაცვლად 205 ჰექტარი დავთესეთ, ასევე გადაჭარბებით შეკასრულეთ ზროალიდ ხვნის გეგმა.

ამქამად გაცხოველებით ვემზადებით საგაზაფხულო თესვისათვის. ძირითადად დამთავრებული გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთება, მინდვრად გავიტანეთ 200 ურემი ნაკელი, დანარჩენს ამ დღეებში გავიტანთ, ცოცხალი გამწევი ძალა კარგად მოვლილი გვყავს. სათესლე მასალით კოლმეურნეობა სავსებით უზრუნველყოფილია. გადაწყვეტილი გვაქვს საგაზაფხულო სამუშაოები კვადაზე ადრე დავამთავროთ და გეგმის გადაჭარბებით 15 ჰექტარი დავთესოთ.

ჩვენი კოლმეურნეობა, რომლის თითოეული წევრი მხოლოდ ერთი ადგილით არის გამსჭვალული — თავდადებით იმუშაოს, მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მისცეს ქვეყანას და ფრონტს, ყოველმხრივ დაეხმაროს წითელ არმიას ფაშისტი ბარბაროსების სრულ განადგურებაში, ყოველდღიურ მზრუნველობას უწევდა და უწევს ფრონტელთა ოჯახებს. ჩვენ ფრონტელთა ოჯახებს დავეხმარეთ საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში, მივუზიდეთ შეშა, მივეცით მარცვლეული, მომავალში კიდევ უფრო გავაძლიერებთ ამ მზრუნველობას და დახმარებას. დაე იცოდნენ ჩვენმა სახელოვანმა მეომრებმა, რომ მათს ოჯახებს ყოველდღიურ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობანი, კოლმეურნენი, მთელი საბჭოთა ხალხი.

პირობას ვაძლევ ლენინ-სტალინის პარტიას, ხელისუფლებას, დიდ სტალინს, რომ მაღალი ჯილდოს პასუხად ენერგიის დაუზოგავად ვიმუშავებ, მთელ ჩემს ძალასა და შესაძლებლობას მოვახმარ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას, სახიზღარ მტერზე—ჰიტლერელ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების საქმეს.

ს. ბერძენიშვილი

გორის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი თორტიზის“ თავმჯდომარე.

ორდენოსან ხაჯერ კაკაბაძის ახალი ვალდებულება

ქობულეთი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. ულიანოვკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელის ამხ. ხაჯერ კაკაბაძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ამ სასიხარულო ცნობის მიღებასთან დაკავშირებით შემდგარი მიტინგი გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბაბდულ დოლიძემ. მან აღნიშნა, რომ გასული სასოფლო-სამეურნეო წელი წარმატებით დავამთავრეთ. კოლმეურნეობამ მოჭრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 112 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 105 ტონისა, ჩაის პლანტაციების გადაბარვა-გასხვლა, დრენაჟის რემონტი დაწესებულ ვადებში არის შესრულებული, ციტრუსების ნაყოფის დამზადების გეგმა 104 პროცენტით შესრულდა, ტუნგოს ნაყოფის დამზადებისა — 102 პროცენტით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება კოლმეურნეობის წევრებს გააცნო საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. ბერიძემ. კოლმეურნე ემინე დოლიძემ იკისრა წელს მოჭიფოს 5.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, კოლმეურნე დუმბაძემ — 6.000 კილოგრამი, ზექია დოლიძემ კი — 7.000 კილოგრამი.

ორდენოსანმა ხაჯერ კაკაბაძემ განაცხადა: მთავრობის მაღალმა ჯილდომ დიდად გამახარა. მადლობა ჩვენს მთავრობას ჩემი, მუშაობის მაღალი შეფასებისათვის. ჩაის პლანტაციების სანიმუშო მოვლით რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 1943 წელს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა 144 პროცენტით შეასრულა. მე პირადად სეზონში მოვკრიფე 10.906 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გამოვიმუშავე 1.087 შრომადღე. 1943 წლის 7 სექტემბერს მოვკრიფე 2.456 კილოგრამი—გამოვიმუშავე 2.290 მანეთი. აღნიშნული თანხა შევიტანე ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში. სიტყვას ვიძლევი გავაორკეცო მუშაობა და არაფერი დავიშურო გმირი წითელი არმიის შემდგომი დახმარების გაძლიერებისათვის. გამოსრულობ ვალდებულებას მიმდინარე წელს მოვკრიფო 15.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ალ. ახალაძე

გონიოს ციფრუსების საბჭოთა მეურნეობაში

ბათუმი (საქდისი). ლიმონტრესტის გონიოს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი სიხარულით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ხალხმრავალ მიტინგზე გამოვიდა საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებული ამხ. ნინიძე.

— ჩვენმა საბჭოთა მეურნეობამ, — განაცხადა ამხ. ნინიძემ, — გასულ წელს ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი მიიღო. ჩვენ გეგმის ვადამეტებით ჩავაბარეთ სახელმწიფოს რამდენიმე ტონა ციტრუსი.

მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად ჩვენ კიდევ უფრო კარგად მოვემზადებით გაზაფხულისათვის, რათა მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მივცეთ კიდევ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

მიტინგზე გამოსულნი ამხ. ომერ-ოღლი, გუმბარიძე, ეულეზნენკო და სხვები გულმოდგინედ მიესალმნენ დაჯილდოებულთ და იკისრეს ვალდებულება სანიმუშოდ ჩაატარონ ყველა აგროტექნიკური ღონისძიება ციტრუსოვანთა პლანტაციებში და ამით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებას.

ოჩამჩირ-ყაჩაკასიის რესპუბლიკების მუსიკის დეკადა

მოსკოვი, 13 იანვარი (საკდისი). სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ აქა წლის გაზაფხულზე ბაქოში მოეწყოს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპოზიტორთა და შემსრულებელთა დიდი სამამულო ომის დღეებზე მუსიკალური შემოქმედების ჩვენების დეკადა.

დეკადაში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლი, სამი დედაქალაქის თეატრთა წამყვანი სოლისტები, სახალხო მომღერლები და სხვ.

23.207.000 მანეთის მოგებები

სახელმწიფო შემნახველი სალაროებისა და სტრაქტიტის სამმართველოში შეგროვებული ცნობების მიხედვით 1943 წლის განმავლობაში საქართველოში სახელმწიფო სესხთა ობლიგაციებისა და ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ მოგებათა სახით მიეცათ 23.207.000 მანეთი.

ამ თანხიდან მარტო თბილისელებს ხვდათ 9.012.000 მანეთი მოგება.

39.000 მანეთი პრემია-დანამატი

ყვარელის რაიონის სოფ. სანავარდოს კოლმეურნეობამ საუკეთესოდ მოუარა თამბაქოს კულტურას, რის გამო მაღალი მოსავალი მიიღო. კოლმეურნეობას 1943 წელს გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 5.133 კილოგრამი თამბაქო, ფაქტიურად ჩაბარა 8.243 კილოგრამი. თამბაქოს ჩაბარების გეგმა შესრულებულია 160 პროცენტით.

სახელმწიფო ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის „საქთამბაქოდამზადების“ ყვარლის რაიკტორამ აღნიშნულ კოლმეურნეობას მისცა 39.000 მანეთი პრემია-დანამატი.

დ. მირიანაშვილი

სამხრეთ-ოსეთის მწერალთა მუშაობა

სტალინირი, (საქდისი). სამხრეთ-ოსეთის მწერლები ნაყოფიერად მუშაობენ დიდი სამამულო ომის დღეებში. სამხრეთ-ოსეთის გამომცემლობებმა გამოსცეს მხატვრული ლიტერატურის მთელი რიგი წიგნები. პოეტმა ბუხტა შავლოხოვმა დაამთავრა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის“ ოსურად ენაზე. მანვე მოამზადა კრებული ლექსებისა და პოემებისა „გამარჯვებისაკენ“. სამამულო ომის მონაწილე ორდენოსანმა პოეტმა ელეოზ ბეკოევმა დასწერა პოემა „მებრძოლი“, რომელიც აგებულია კავკასიისათვის გამართული ისტორიული ბრძოლის მასალაზე. პოეტმა კავკაზამა ბაისაევემად მოამზადა თავისი ლექსებისა და პოემების კრებული სახელწოდებით „ბრძოლა“, მწერალი რეზო კოჩიევი უშვებს მოთხრობათა კრებულს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

15 იანვარი: ხახოპერა — „ჯარმენი“. **რუსთაველის** — „ოლეკო დუნდარი“. **მარჯანიშვილის** — „პარტიზანები“. **გრიბოედოვის** — „მხედართმთავარი სუვოროვი“. **სომხური** — „ლალატი“. **მუსკომედიის** — „ხოჯა ნასრედინი“. **სანკულტურის** — „ბრმა მუსიკოსი“. **მოზარდი მაყურებლის** — ქართული — „ჩექმებიანი კატა“, რუსული — „პირველი სიყვარული“.

კინოებში

15 იანვარს: რუსთაველი — „ჯოროკი დინჯიჯანიდან“. **ოქტომბერი** — „ოცნება“. **დამკვრელი** — „გიორგი საკაძე“, მე-2 სერია. **კომკავშირელი** — „მელოდე“. **სპარტაკი** — „სალაკაა იულაელი“. **ლუნაჩარსკის სახ.** — „მელოდე“. **26 კომ. სახ.** — „ზეიკის ახალი თავგადასავალი“.

ცოლი ლუბა გურგენიძე შვილებით, სანდრო, სონა, ეთერა გოგიჩაიძეები იუწყებიან ვიქტორ მელიტონის-ძე გურგენიძის გარდაცვალებას. გამოსვ. 16/I, 2 ს. შაუმიანის, 63. პანაშვ. 15/I, 7 ს. 53

ცოლი სოფიო, შვილი თამარ, სიძე გასან, უახლოესი მეგობრები მურთუზ, გენია იუწყებიან **სიმონ ზაქარიას-ძე ჯატნაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვ. 15/I, 6 ს. კერესელიძის, 24. გამოსვ. 16/I, 5ს.

თბ. სახ. უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრები იუწყებიან, რომ 16/I, 2 ს. კუბის სასაფლ. დანიშნულია პროფ. **ბესარიონ ივანეს-ძე უვარშვილის** სამოქ. პანაშვიდი. 43

დედა ელისო, ცოლი თამარ, ძმა აპოლონ იუწყებიან **აკაკი ქრისტეფორეს-ძე ჯმუხაძის** გარდაცვალებას. პანაშვ. 15/I, 7 ს. მარის I ჩიხი № 25. დაკრძ. 16/I, 4ს. 50.

მშობლები რაჟდენ, სერაფიმა, ცოლი ლუბა შვილებით, დები, ძმები იუწყებიან **ირაკლი (ხუტუნია) მიქაელიძის** გარდაცვალებას. დაკრძ. 16/I. 46

მშობლები თამარ, შალვა ალმიბაიები და თავშავაძის ოჯახი იუწყებიან, რომ 16/I, 2 ს. ვერის ძვ. სასაფლაოზე დანიშნულია **ჯუმბერ ალშიბაიას** სამოქ. პანაშვიდი. 47

სახელგმის I მაღაზიის თანამშრომლები იუწყებიან ე. ვ. რობაქიძის მამის **გიორგი ზაალის-ძე ყიფიანის** გარდაცვალებას. გამოსვ. 15/I, 5½ ს. მერკვილაძის, 8. 49

მშობლები ელენე, ერასტი, ცოლი ანგესი შვილებით და დები იუწყებიან **გიორგი (ლულუ) გვათუას** გარდაცვალებას. 45

შვილები ვალოდია, ელენე, რძალი მარო, შვილიშვილები პეპელა, ჟულეტა, შოთა იუწყებიან **თედორე ხესიას-ძე ვაშაკიძის** გარდაცვალებას. პანაშვ. 15/I. 7 ს. II სპარტაკიადა, 4 (ეკე). დაკრძ. 16/I, 3 ს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. **ტელეფონები:** პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 ფუ 00020

მამა და შვილი—საბჭოთა კავშირის გმირები

მოქმედი არმია, 12 იანვარი (ჩვენი კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 10 იანვრის ბრძანებულებით წითელარმიელ ემელიანე ლუკას-ძე სოკოლს და წითელარმიელ გრიგოლ ემელიანეს-ძე სოკოლს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

ეს გმირები მამა და შვილია.

ერთად შევიდნენ ისინი წითელ არმიის რიგებში. ერთად ებრძოდნენ მტერს თავდადებულად, ერთად ჩაიდინეს ღირსშესანიშნავი საგმირო საქმე, რამაც მათი სახელი ამიერიდან უაღრესად ძვირფასი გახადა თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის.

მამა და შვილ სოკოლებს, სუმის ოლქის შტეპოვკის რაიონის ხუტორ პომირკის კოლმეურნეებს, წილად ხვდათ გამოეცადათ გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციის მთელი სიმწარე და საშინელი წამება. თითქმის ორ წელს ცხოვრობდნენ ისინი მტრის ქუსლქვეშ მათ თავიანთ თავზე „გამოსცადეს, თუ რა არის გერმანელთა სისასაძაგლე, ყაჩაღობა და ძალადობა. მათ თვალნათლივ დაინახეს, თუ რა მოაქვთ ჰიტლერელებს საბჭოთა ხალხისათვის. და როცა განთავისუფლების ნათელი ეამი დადგა, ორივენი — მამა და შვილი, ერთიანი სულისკვეთებით გამსჭვალულნი, სიხარულით შევიდნენ წითელ არმიის რიგებში. მათი ბედი ისე მოეწყო, რომ საბჭოთა ადამიანების უმრავლესობაზე ბევრად უფრო ადვილ მოუხდათ იარაღით კამოსვლა სამშობლოს დასაცავად. მაგრამ მით უფრო მეტი გააფთრებით, შეუპოვრობითა და სიმტკიცით იბრძოდნენ ისინი.

ფრონტზე ყოფნის პირველ დღეებიდანვე ემელიანე ლუკას-ძე სოკოლმა და მისმა შვილმა გრიგოლმა თავი გამოიჩინეს, როგორც მამაცმა, გულადმა მეომრებმა. ორივენი სულ მუდამ წინ მიიწევდნენ, ისწრაფოდნენ მოესპონ რაც შეიძლება მეტი გერმანელი მტაცვალი, მიეყენებინათ მტრისათვის რაც შეიძლება მეტი ზიანი არც ერთმა არ იცოდა, თუ რა არის დაღლილობა საბრძოლო საქმეში. მალე, ჯერ პირველ ბრძოლებში, ორივე სოკოლი — მამა და შვილი — დაჯილდოებულ იქნა მედლით „მამაცობისათვის“.

ხოლო 1943 წლის 20 ოქტომბერს, სოფელ სინიაკის რაიონში წარმოებული ბრძოლის დროს, ემელიანე ლუკას-ძე სოკოლმა და გრიგოლ ემელიანეს-ძე სოკოლმა დაიმსახურეს უმაღლესი პატივი ჩვენს ქვეყანაში, სამშობლოს უმაღლესი ჯილდო, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამ დღეს გერმანელებმა აქ გააფთრებული კონტრიერიში მოიტანეს ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ძალებით. მტერი გაშმაგებით მოიწევდა წინ. მან სიტყვასავით დაუშინა ცეცხლი ჩვენი ქვეგანაყოფების პოზიციებს. გერმანელთა ტანკები თითქოს ნიაღვარად მოედინებოდნენ, თავიანთ გზაზე ყველაფერს აღგვასა და მოსპობას ემუქრებოდნენ. მაგრამ ჩვენი მეომრები ურყევად იდგნენ. სიცოცხლის აშკარა საშიშროების მიუხედავად, არც მამა და არც შვილი წოლილობიელ-მეტყვიამფრქვევე სოკოლი არ შემდრკალა და მამაცურად იცავდა უბანს, რომელზეც ისინი მეთაურმა დაყენა. მათ ერთი ნაბიჯითაც კი არ დაუხევიათ უკან დაკავებული პოზიციიდან, თითქოს შეეზარდნენ მას. ბრძოლის გრიალსა და ცეცხლში მამა და შვილი მტკიცედ, განუხრელად განაგრძობდნენ თავიანთ მხედრულ საქმეს.

გამოუშვეს რა მტრის ტანკები, მეტყვიამფრქვევე სოკოლებმა თავიანთი ტყვიამფრქვევის გრიგალისებრი ცეცხლით მიწაზე გაკრეს კონტრიერიშზე გადმოსული გერმანელთა ქვეითი ჯარი. გერმანელთა უმრავლესობა გაელტენ იქნა. ემელიანე და გრიგოლ სოკოლების საეცხო საბრძოლო მუშაობამ ჩაშალა მტრის კონტრიერიში, დაირღვია მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის თანამოქმედება. ქვეითი ჯარი ტანკებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

მაგრამ მტერი მაინც მოიწევდა წინ. გერმანელთა სამი ტანკი თავს დაატყდა გმირი მეტყვიამფრქვევეების სანგარს. ამ კრიტიკულ მომენტში მამამ და შვილმა სოკოლებმა რკინისებრი სიმტკიცე, გასაოცარი მამაცობა და ბრძოლის ნამდვილ ოსტატთა გამბედაობა გამოიჩინეს. მათ თვალის დახამხამებაში გამოაფთვეს ტანკსაწინააღმდეგო თოფი იქვე აბლოს მწოლარე მძიმედ დაჭრილ მებრძოლს და ცეცხლი დაუშინეს ტანკებს.

ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ რა უთხრა ამ მომენტში მამამ შვილს, ან შვილმა მამას. მაგრამ ყოველი ჩვენგანისათვის ცხადია, თუ რას ფიქრობდნენ ისინი, რას გრძნობდნენ იმ წამს, როცა პირისპირ შეებნენ ტანკებს და სიკვდილი უშ